მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 9 თვის ანგარიში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ

სოციალური და ჯანდაცვის სამსახური უზრუნველყოფს სოციალური და ჯანმრთელობის მუნიციპალიური პროგრამების მართვას და მათ განხორციელებაზე კონტროლს. პროგრამით ძირითადად გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მაცხოვრებელი პირების - მრავაშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, ახალაშობილთა ოჯახების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, ხანდაზმული პირების, რეგისტრირებულ დევნილთა, სტიქიური მოვლენების და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფა, მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება და სამედიცინო მომსახურების თანადფინანსება.

მ/წლის ცხრა თვეში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულების ფარგლებში განხორციელებული სოციალური ქვეპროგრამებიდან გაწეული მომსახურების ხარჯმა 779,8 ლარი შეადგინა, რაც გათვალისწინებული გეგმის 91%-ი შეადგენს. აღნიშნული ხარჯიდან მოსახლეობის სტაციონალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურებას მოხმარდა 321,7 ლარი. ანუ გეგმის 93,0 %-ი. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური და სხვა მიმართულებით გაიხარჯა 194,5 ლარი - გეგმის 88.5 %-ი. საანგარიშო პერიოდში პროგრამით დასახული ყოველთვიური ფულადი დახმარებით ისარგებლა მრავალშვილიანმა 62 ოჯახმა, მძიმე ჯანმრთელობისმქონე ოთხმა პირმა, დედ-მამით ობოლი ბავშვის ერთმა ოჯახმა, დიალეზზე მყოფმა 22 პირმა, კომუნალური მომსახურებით 18 წლამდე ასაკის შსმ პირების 55 ოჯახმა, ცილაგამოცლილი და სხვა საკვები პროდუქტებით საჭიროების მქონე ექვსმა პირმა, ერთჯერადი ფულადი დახმარება მიიღო ახალშობილთა 85 ოჯახმა. სტიქიური მოვლენების და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებულმა ოჯახებმა საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების მასალების შესაძენად მიიღო 157,1 ათასი ლარი. განაცხადის შესაბამისად დაკმაყოფილდა იძულებით

გადაადგილებული პირები და სოციალურად დაუცველი ოჯახები. ამის გარდა, პროგრამის ფარგლებში სოციალური პროგრამების გადაწყვეტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაიხარჯა 70,3 ათასი ლარი, ხოლო გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქლთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხარჯების მიზნით კი 18.0 ათასი ლარი.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, საანგარიშო პერიოდში მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები. შესწავლილი იქნა მოქალაქეთა განცხადებები საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის და სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევის შესახებ, მომზადდა მასალები ეკომიგრანტი ოჯახების თაობაზე და მასალები გადაეგზავნა შესაბამის უწყებას.